

ბიზნესის სკოლა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (ინგლისურენოვანი)

კ უ რ უ კ უ ლ უ მ ი

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)

საფეხური

ბაკალავრიატი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

პროგრამის ხელმძღვანელი

დინა ასლამაზიშვილი

თამაზ უზუნაშვილი

პროგრამის მოცულობა

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს.

სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს 75 კრედიტს.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა იყოფა შემდეგ კომპონენტებად: სასწავლო, პრაქტიკული და თავისუფალი.

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სასწავლო კომპონენტი იყოფა ორ ნაწილად: სავალდებულო და არჩევითი/თავისუფალი.

სავალდებულო ნაწილში ბაკალავრმა უნდა დააგროვოს 198 კრედიტი.

შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კონცენტრაციებიდან ბაკალავრმა უნდა აირჩიოს ერთერთი კონცენტრაცია და დააგროვოს ერთი კონცენტრაციის მიხედვით 24 კრედიტი. 18 თავისუფალი კრედიტი სტუდენტს შეუძლია დააგროვოს - სხვა სასწავლო კონცენტრაციის საგნებიდან; ბიზნესის სკოლაში ან ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში არსებული სხვა იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; საქართველოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული აკრედიტებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან; უცხოეთის უმაღლეს სასწავლებელში არსებული იმავე საფეხურის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამიდან, თუ ეს კრედიტები შესაბამისად აღიარებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. 18 თავისუფალი კრედიტიდან 12 კრედიტი სტუდენტმა შეიძლება გამოიყენოს პრაქტიკისათვის.

პრაქტიკული კომპონენტი (არჩევითი) - 12 კრედიტი:

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკას სტუდენტი გაივლის იმ დაწესებულებებში, რომლებთანაც ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული უნივერსიტეტსა და ბიზნესის სკოლას.

სწავლების ენა

ინგლისური

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია სტუდენტის აღჭურვა ფართო ცოდნით ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში, რომელიც მისცემს მას საშუალებას გაანალიზოს ბიზნესის პრობლემები და მოამზადოს საკითხები ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის ეფექტურ ფუნქციონირებას და შემდგომ განვითარებას.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანი შეესაბამება ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს:

აღიზარდოს მაღალი აკადემიური და ეთიკური სტანდარტების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტი, რომელიც ეფექტურად იმუშავებს ბიზნესის სფეროში და უზრუნველყოფს თანამედროვე მეთოდების დანერგვას.

შეიქნმას პირობები იმისათვის, რომ სტუდენტებმა გამოავლინონ თავის ნიჭისა და შესაძლებლობების მაქსიმუმი და მიღებული ცოდნის საფუძველზე შეიტანონ წვლილი თავიანთი სფეროს განვითარებაში.

პროგრამაზე დაშვების წინა პირობა

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს აბიტურიენტს, რომელიც უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე და, თანახმად საქართველოს კანონმდებლობისა, საქართველოს მოქალაქეებს და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებმაც მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ექვივალენტი უცხოეთში.

საბაკალავრო პროგრამაზე ჩასარიცხად აბიტურიენტმა უნდა იცოდეს უცხო ენა (ინგლისური) B1 დონეზე და მიიღოს უცხო ენის (ინგლისურის) გამოცდაში (ერთიანი ეროვნული გამოცდებზე) ნედლი ქულის 70% ან მეტი. ხოლო ეროვნული გამოცდის გარეშე ჩარიცხულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ საბუთები/სერთიფიკატი რომლებიც ადასტურებენ ინგლისური ენის ცოდნას B1 დონეზე.

სავარაუდო სტუდენტთა რაოდენობა

240

დასაქმების სფერო

ბაკალავრიატის სრული კურსის ათვისება შესაძლებლობას აძლევს ბაკალავრს წარმატებით იმუშაოს ნებისმიერ კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების შემდეგ პოზიციებზე: დაბალი და საშუალო დონის მენეჯერი, ბუღალტერი, მარკეტოლოგი, გაყიდვების მენეჯერი, ფირმების საფინანსო განყოფილებების მენეჯერები და ა.შ.

სწავლის შედეგები/კომპეტენციები (ზოგადი და დარგობრივი)

პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლების ფართო ცოდნისა და თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების შედეგად მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ფინანსების ძირითადი კონცეფციებისა და ზოგიერთი უახლესი ასპექტების განმარტება, სფეროში არსებულ პრობლემატიკის აღწერა და ამ პრობლემების ამოსახსნელად შესაბამისი მეთოდების იდენტიფიცირება.

ბიზნესის ადმინისტრირების რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გაანალიზება და ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება.

ლექტორის მითითებების დახმარებით ბიზნეს ადმინისტრირების კვლევითი და პრაქტიკული პროექტების განხორციელება.

ბიზნეს პრობლემებთან დაკავშირებული მონაცემების ორგანიზება და ზოგიერთი მათემატიკური, სტატისტიკური და ბიზნესის მოდელირების უახლესი მეთოდების გამოყენებით პრობლემების ანალიზი და მიღებული შედეგების ინტერპრეტირება.

ბიზნეს ადმინისტრირებასთან დაკავშირებული იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ილუსტრირება როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური ნორმების დაცვით და ტექნოლოგიების გამოყენებით

კომპლექსურ და არაპროგნოზირებად ბიზნესის გარემოში ბაკალავრის დონის შესაბამისი დამოუკიდებლობის ხარისხით ბიზნესის პრობლემების გადასაჭრელად განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელების გზების ილუსტრაცია ბიზნეს ეთიკის პრინციპების დაცვით.

საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

- ლექცია სამუშაო ჯგუფში მუშაობა სემინარი პრაქტიკული მუშაობა
 ელექტრონული რესურსით სწავლება სხვა

1. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.

2. დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

3. ჯგუფური მუშაობა - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. წიგნზე მუშაობის მეთოდი.

5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

6. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თანაგუნდელს საგნის

უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

7. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

8. შემთხვევის ანალიზი (Case study) - პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.

9. გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;

დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად, დაფაზე);

გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;

კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;

შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;

უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

10. როლური და სიტუაციური თამაშები - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

11. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რის შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

12. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი.

სწავლების ინდუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან

განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

სწავლების დედუქციური მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

13.ახსნა-განმარტებითი მეთოდი – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

14.ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

15.წერითი მუშაობის მეთოდი, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

16. ისტორიული მეთოდი

შეფასების სისტემა

სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში:

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დააგროვებს მინიმუმ 25 ქულას.

სტუდენტი, რომელსაც დაგროვილი არ ექნება სავალდებულო მინიმალური ქულა (25), დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდის მინიმალური სავალდებულო ქულაა 16.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულაა

სტუდენტთა შეფასება განისაზღვრება შემდეგი შეფასების სისტემისა და რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით:

დადებითი შეფასებები:

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91 - 100:
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა:
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა:
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა:
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა:

უარყოფითი შეფასებები:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41- 50 ქულა;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები;

(FX) ვერ ჩააბარა – უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტს უფლება აქვს დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ კიდევ ერთხელ გავიდეს დამატებით დასკვნით გამოცდაზე;

(F) ჩაიჭრა – უარყოფითი შეფასების მქონე სტუდენტი ვალდებულია ახლიდან გაიაროს სასწავლო კურსი;

სტუდენტს შეუძლია მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ერთი და იგივე სასწავლო კურსი აიღოს მხოლოდ ორჯერ, მათ შორის, მიღებული დადებითი შეფასების გაუმჯობესების მიზნითაც;

სასწავლო კურსში სტუდენტის შეფასება წარმოებს მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს;

დასკვნითი გამოცდის შეფასების ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით;

შუალედურ შეფასებაში სავალდებულოა ორი შუალედური გამოცდის გათვალისწინება, რომელთა შეფასებათა ჯამი 40 ქულის ტოლია (თითოეული 20-20 ქულა);

შუალედური შეფასების 20 ქულის განაწილება, რომელიც შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ტესტირებას, სემინარებზე, პრაქტიკულ მეცადინეობებზე აქტივობას, წარმოებს სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურად გაიწერება სილაბუსში კურსის წამყვანი პროფესორის მიერ;

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა;

სტუდენტი დამატებით დასკვნით გამოცდაზე გადის იმავე სემესტრში, დასკვნით და შესაბამის დამატებით დასკვნით გამოცდებს შორის შუალედი არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები;

სტუდენტის საბოლოო რეიტინგის დასადგენად და მათ წასახალისებლად სასწავლო პროცესის დასრულებისას გამოითვლება კუმულატიური ქულა (კუმულატიური ქულის გამოთვლა ხორციელდება ყოველი სემესტრის ბოლოსაც);

კუმულატიური ქულის გამოთვლა შემდეგნაირად განხორციელდეს: ყოველ სასწავლო კურსში სტუდენტის მიერ მიღებული ქულის რაოდენობრივი მაჩვენებელი გამრავლდეს ამ სასწავლო კურსისათვის განკუთვნილი კრედიტის რაოდენობაზე და შემდეგ ამ რიცხვების საერთო ჯამი გაიყოს სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების რაოდენობაზე.

პროგრამის განსახორციელებლად მისაღწევი რესურსები

მატერიალური რესურსი:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული ფართი (სასწავლო და დამხმარე);
- სათანადო ინვენტარით აღჭურვილი აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალის სამუშაო ოთახები, ადმინისტრაციის მუშაობისათვის განკუთვნილი ფართი;
- ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა;
- სველი წერტილები;
- ბუნებრივი განათება;
- გათბობის საშუალებები;
- ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;
- ევაკუაციის გეგმა;
- სამედიცინო დახმარების მექანიზმები (სამედიცინო კაბინეტი);
- წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები (უნივერსიტეტის დაცვა);
- კომპიუტერთა სათანადო რაოდენობა და ინტერნეტით სარგებლობის შესაძლებლობა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

ადამიანური რესურსი:

- აკადემიური პერსონალი შერჩეული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მათი კვალიფიკაციის გათვალისწინებით.
- მკვლევარებად და მასწავლებლებად უნივერსიტეტში მოწვეულნი არიან შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პრაქტიკოსი მუშაკები და სამეცნიერო ხარისხის მქონე პირები.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები

შედეგები	სამიზნე ნიშნულები
პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:	
1.1 ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლების ფართო ცოდნისა და თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული	სწავლის შედეგის მიღწევის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევის შეფასება შემდეგ სავალდებულო სასწავლო კურსებში:

<p>გააზრების შედეგად მარკეტინგის, მენეჯმენტისა და ფინანსების ძირითადი კონცეფციების განმარტება, სფეროში არსებულ პრობლემატიკას აღწერა და ამ პრობლემების ამოხსნის მეთოდების იდენტიფიცირება.</p>	<p>ბიზნეს ინგლისური I; გამოყენებითი მათემატიკა; მიკროეკონომიკის პრინციპები; კომპიუტერული უნარები I; ბიზნეს ინგლისური II; ზოგადი ფინანსები; კომპიუტერული უნარები II; მაკროეკონომიკის პრინციპები; სტატისტიკა ბიზნესისათვის; ბიზნეს ინგლისური III; ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები; მარკეტინგის პრინციპები; კორპორაციების ფინანსების საფუძვლები; სასრული მათემატიკა; ბიზნეს ინგლისური IV; მენეჯერული ხარჯთაღრიცხვისა და კონტროლის საფუძვლები; მენეჯმენტის პრინციპები; ბიზნეს კომუნიკაციის შესავალი; კორპორაციების ფინანსების - რჩეული თემები; ორგანიზაციული ქცევის პრინციპები; ბიზნესის მოდელირების საფუძვლები - წრფივი მოდელები; სისტემებისა და ოპერაციების მენეჯმენტის საფუძვლები; სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები; ინფორმაციული ტექნოლოგიები; ბიზნესის მოდელირების საფუძვლები - არაწრფივი მოდელები; საერთაშორისო ბიზნესის საფუძვლები; კონკურენციის ანალიზი; ხარისხის მენეჯმენტი; სტატისტიკური პაკეტი – MS Excel; პროექტების მენეჯმენტი - შესავალი; ბიზნესის პროგნოზირების საფუძვლები; ბიზნეს სამართალი;</p>
<p>2.1 ბიზნესის ადმინისტრირების რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გაანალიზება და ამ პრობლემების გადაჭრის გზების მოძიება.</p>	<p>ბიზნესის ადმინისტრირების პრობლემების: 2.1.1 იდენტიფიცირება 2.1.2 ანალიზი 2.1.3 გადაჭრის გზების მოძიება</p>
<p>2.2 ლექტორის მითითებების დახმარებით ბიზნეს ადმინისტრირების კვლევითი და პრაქტიკული პროექტების განხორციელება.</p>	<p>კვლევითი და პრაქტიკული პროექტების: 2.2.1 პრობლემის იდენტიფიცირება 2.2.2 პრობლემების მოგვარების გზების შერჩევა 2.2.3 პროექტების დაგეგმარებას</p>
<p>2.3 ბიზნეს პრობლემებთან დაკავშირებული მონაცემების ორგანიზება და ზოგიერთი მათემატიკური, სტატისტიკური და ბიზნესის მოდელირების უახლესი მეთოდების გამოყენებით პრობლემების ანალიზი და მიღებული შედეგების ინტერპრეტირება.</p>	<p>2.3.1 მონაცემების ორგანიზება 2.3.2 მონაცემების ანალიზისათვის მეთოდების შერჩევა და გამოყენება 2.3.3 შედეგების ინტერპრეტირება</p>
<p>2.4 ბიზნეს ადმინისტრირებასთან დაკავშირებული იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების ილუსტრირება როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ საზოგადოებასთან ეთიკური</p>	<p>2.4.1. არსებული ინფორმაციისა და საკუთარი არგუმენტების წარმოდგენა წერილობითი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ;</p>

ნორმების დაცვით და ტექნოლოგიების გამოყენებით	2.4.2. არსებული ინფორმაციისა და საკუთარი არგუმენტების წარმოდგენა ზეპირი ფორმით ლოგიკურად, თანმიმდევრულად და მკაფიოდ; 2.4.3. ინფორმაციის წარმოდგენისას საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება.
3.1 კომპლექსურ და არაპროგნოზირებად ბიზნესის გარემოში ბაკალავრის დონის შესაბამისი დამოუკიდებლობის ხარისხით ბიზნესის პრობლემების გადასაჭრელად განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელების გზების ილუსტრაცია, ზოგიერთი ახალი მეთოდებისა და თეორიული მიღწევების გამოყენება	3.1.1 ნაშრომის დაგეგვა 3.1.2 თანამედროვე თეორიებისა და პრაქტიკული მეთოდების გამოყენება
3.2 საკუთარი და სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა	3.2.1 ნაშრომის დაგეგვა 3.2.2 თანამედროვე თეორიებისა და პრაქტიკული მეთოდების გამოყენება

ცოდნა და გაცნობიერების შედეგების შეფასების კრიტერიუმები - გამოითვლება სავალდებულო კურსების შეწონილი ჯამი. წონები დამოკიდებულია კურსების კრედიტებზე და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{წონა} = \frac{\text{კურსის კრედიტი}}{\text{სავალდებულო კურსების კრედიტების ჯამი}}$$

თითოეული კურსის შესაფასებლად გამოიყენება სტუდენტების საშუალო შეფასება ამ კურსში

სტუდენტების საშუალო შეფასება კურსების მიხედვით	სამიზნე ნიშნულის ქულები
91-100	5
81-90	4
71-80	3
61-70	2
51-60	1
0-50	0

სავალდებულო სასწავლო კურსებში:	კრედიტი	წონა	მაქს. ქულა
ბიზნეს ინგლისური I	6	0.0303	5
გამოყენებითი მათემატიკა	7	0.0354	5
მიკროეკონომიკის პრინციპები	6	0.0303	5
კომპიუტერული უნარები I	5	0.0253	5
სასრული მათემატიკა - დეტერმინისტული მოდელები	6	0.0303	5
ბიზნეს ინგლისური II	6	0.0303	5
სასრული მათემატიკა - ალბათური მოდელები	6	0.0303	5
კომპიუტერული უნარები II	5	0.0253	5
მაკროეკონომიკის პრინციპები	6	0.0303	5
სტატისტიკა ბიზნესისათვის	7	0.0354	5
ბიზნეს ინგლისური III	6	0.0303	5
ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები	6	0.0303	5
მარკეტინგის პრინციპები	6	0.0303	5
კორპორაციების ფინანსების საფუძვლები	7	0.0354	5
ბიზნეს კომუნიკაციის შესავალი	5	0.0253	5
ბიზნეს ინგლისური IV	6	0.0303	5
მენეჯერული ხარჯთაღრიცხვისა და კონტროლის საფუძვლები	6	0.0303	5
მენეჯმენტის პრინციპები	6	0.0303	5
ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	0.0253	5
კორპორაციების ფინანსების - რჩეული თემები	7	0.0354	5
ორგანიზაციული ქცევის პრინციპები	6	0.0303	5
ბიზნესის მოდელირების საფუძვლები - წრფივი მოდელები	6	0.0303	5
სისტემებისა და ოპერაციების მენეჯმენტის საფუძვლები	6	0.0303	5
სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	6	0.0303	5
ჯანსაღი ცხოვრების წესი	6	0.0303	5
ბიზნესის მოდელირების საფუძვლები - არაწრფივი მოდელები	6	0.0303	5
საერთაშორისო ბიზნესის საფუძვლები	6	0.0303	5
კონკურენციის ანალიზი	6	0.0303	5
ადამიანური რესურსების მენეჯმენტის შესავალი	6	0.0303	5
ისტორია	6	0.0303	5
სტატისტიკური პაკეტი – MS Excel	6	0.0303	5
პროექტების მენეჯმენტი - შესავალი	6	0.0303	5
ბიზნესის პროგნოზირების საფუძვლები	6	0.0303	5

სამიზნე ნიშნულების შეფასების კრიტერიუმები

თითოეული სამიზნე ნიშნული ფასდება 0-დან 5-დე:

A	-	5
B	-	4
C	-	3
D	-	2
E	-	1
F	-	0

	კრიტერიუმები					
	A	B	C	D	E	F
სამიზნე ნიშნული	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის სანიმუშოდ გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის ძალიან მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის მაღალი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის კარგად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის კარგი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის დამაკმაყოფილებლად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის დამაკმაყოფილებელი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის საკმარისად გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის საკმარისი შესაძლებლობების ჩვენება	ინდიკატორით განსაზღვრული უნარის ძალიან მწირი გამოყენება, მკაფიო დასკვნების ჩამოსაყალიბებლად ანალიტიკური გზით მტკიცებულებების სინთეზის არქონის ჩვენება

დანართი 1: პროგრამის სასწავლო გეგმა და შედეგების რუქა

დანართი 2: CV - დინა ასლამაზიშვილი